საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 65

შაბათი, ნოემბრის 5

1921 წ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა დავითის ასული შვილებით შურა, გუგული და ჩ.ჩინა, დედა ელისაბედი შერის ასული, ძმები: სანდრო და ვასილი, დები: ნატალია, ემილია, ნინა და ბიცოლა ტერეზია ანდღულაძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათ თვის დაუვიწყარის

გიორგი ალექსის ძე ანდღულაძის

ორმოცის წირვას და პანაშვიდს, რომელიც გადახდილ იქნება კვირას, ნოემბრის 6-ს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 57

## საბჭოთა აღმშენებლობისა და მეურნეობის

# გამოფენა

გაიხსნება ნოემბრის 7, 8, და 9-ს, დილით 10 საათზე, დღის 4 საათამდე, ყოფილ არტისტიულ საზოგად. სახლში (რუსთველის პროსპ. 19) ნარკომატების წარმომადგენლები გამოფენაზე ახსნა-განმარტებას მიაწოდებენ თავიანთ დაწესებულებებს. ზოგიერთი ნარკომატები თავის ნაშრომ-მოქმედების ცდასაც აჩვენებენ მაგალითად, განათლების კომისარიატის სამუსიკო განათლებას მოაწყობს გალობას (გუნდი და სოლო). სასურველია, რომ ნოემბრის 8 და 9-ს გამოფენას ესწრებოდენ კოლლექტივები:—მუშები-კავშირებთან, ქარხანა-ზავოდებით, წითელი-არმიები—ნაწილობრივად. მოსამსახურენი-დაწესებულებებით, მოწაფეები—სკოლებით.

## ჩვენი პარტია

ჩვენი პარტიის ყრილობამ თავის უკანასკნელს სხდომაზე დაადგინა შეცვალოს პარტიის სახელწოდება შემდეგნაირად: საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციონ პარტიად და ყრილობა გამოცხადა ახალი პარტიის დამფუძნებელ ყრილობად. ასეთი ნაბიჯით ყრილობამ საგულისხმო ცვლილება შეიტანა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ვითარებაში; პარტიული სახელწოდების შეცვლით და დამფუძნებელი ყრილობის მუშაობით არსებითად ნიადაგი ჩაეყარა ახალს პარტიას ახალი პოლიტიკური გეზისა და პლატფორმის მქონეს პარტიის შემდეგში ყრილობამ თავისი ნებისყოფა და სურვილები თავის ლოღიკურს დასკვნამდე მიიყვანა და დააფუძნა ახალი რევოლიუციონური პარტია. მაგრამ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა არსებობის ისტორია და მოღვაწეობა ამ დღიდან არ იწყება. ამ დღეს ყრილობამ მხოლოდ სანქცია მისცა, ფორმალურად დაადასტურა და ძლიერი ის, რაც მთელი რიგი თვის განმავლობაში ვითარდებოდა, მაგრდებოდა და მტკიცდებოდა. ჩვენი პარტიის ისტორია დიდი ხნის წინეთ დაიწყო. მას ნიადაგი ჩაეყარა მაშინ, როცა ჩვენს ირგვლივ და ჩვენით ჩვენი გადამწყვეტი ღირებულების აქტებს ჰქონდა ადგილი, როცა იცვლებოდა ჩვენი ერის ცხოვრების ვითარება და გარკვეულს, ნათელს და პირდაპირს სიტყვას, სიტყვას ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდგან გამოსულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ რთულსა და დიდ მომენტში ძველი პარტიის მცირე, მაგრამ გაბედულმა ჯგუფმა გარკვევით აირთვა ალდო შექმნილ მდგომარეობას და პარტიის გეზი იქით მიმართა, რომლითაც ყველაზე უფრო მიზან შეწონილად გაუწევდა სამსახურს ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს. პარტიული ორიენტაციის გადატეხვით, ძველი პოლიტიკური გეზის შეცვლით არსებითად, ფაქტიურად ნიადაგი ჩაეყარა ახალი პარტიის არსებობას, მის რევოლიუციონურს შემოქმედებასა და მოღვაწეობას. ჩვენი გზა დაშორდა ძველი პარტიის ხელმძღვანელთა მიერ შემუშავებულ გზას. ჩვენი მოღვაწეობის მცირე, მაგრამ წინაარსიანმა ისტორიამ დაგვანახვა, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა იყო სწორი, მიზან შეწონილი და გარკვეული. ჩვენ შევიძელით რევოლიუციისა და ერის ინტერესების შეთანხმება და მათი პრაქტიკული შეუღლება.

პირველმა პარტიულმა ყრილობამ, დამფუძნებელმა კრებამ ჩვენი ორგანიზაციისამ სავსებით დაადასტურა ჩვენ მიერ აღებული გეზი და ორიენტაცია. მართალია ჩვენი მოღვაწეობის დროს იყო დაშვებული დეფექტები, მაგრამ ეს დეფექტები იჩრდილება იმ დიდ და გადამწყვეტ მოქმედების ორბიტაში, რომლის გაწევა შესძლო დიდი ენერგიის დახარჯვით ჩვენმა ორგანიზაციამ.

ჩვენ დავშორდით ჩვენს ძველს ამხანაგებს, რომელთანაც ერთად მოვქმედებდით მრავალი წლის განმავლობაში. ეს ფაქტი სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც გვიხდება ძველი ორგანიზაციის დარღვევა და დაშლა. მაგრამ ეს ფაქტი აუცილებელი იყო იმ სხვა და სხვაობის გამო, რომელიც დაიბადა ძველი პარტიის ოჯახში. პარტიის შიგნით შექმნილმა სხვა და სხვაობამ, თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების გაგებამ, აუცილებელი საჭირო გახადა ძველი ორგანიზაციის საწინააღმდეგო ფრთებად დანაწილება. ჩვენი დღევანდელი პლატფორმა და გაგება საერთაშორისო მიმდინარეობისა ძირიანად განსხვავდება მემარჯვენე ფრთის გაგებისაგან. ჩვენ ვდგევართ საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე; ჩვენის შეგნებით კაპიტალისტურმა მეურნეობამ უკვე მოსჭამა თავისი დრო და მსოფლიო ცხოვრების ამ გზით განვითარება შეუძლებელია; კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი კაცობრიობა განადგურების წინაშე დააყენეს; მსოფლიო ომები დიდ-ტანის სახელმწიფოთა შორის ჩამორჩენილ ქვეყნების დასამონებლად და დასატაცებლად, საშინელი რეაქცია და განადგურება საწარმოო ძალებისა, შეჩერებული ყვლეფა და ექსპლოატაცია განუვითარებელი ერებისა და კლასების, აი დამახასიათებელი მომენტები ფინანსიური კაპიტალის ეპოქის. კაპიტალიზმა დაჰკარგა თუ კი ოდესმე ჰქონდა შემოქმედებითი პროგრესიული ღირებულება და ის რეაქციის, განადგურების ფაქტორი შეიქმნა—ასეთს მომენტში აუცილებელია კაპიტალისტური კულტურის შეცვლა ახალი სოციალური ურთიერთობით; ეს კი შესაძლებელია საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებით, ე. ი. დარაზმ. მშრომელი მასებისა და მისი ამ სახით დაპირისპირება გაბატონებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ—ეს არის საღდეისო ლოზუნგი, მისი აუცილებელი პირობა. პროლეტარიატი უნდა აქტიურად ჩაერიოს საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობაში და ძალდატანების გზით უნდა მიმართოს იგი ახალ სამეფოისაკენ.

აი ის ძირითადი შეხედულება და გაგება თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების, რომელზედაც სდგას მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ჩვენი პლატფორმა სოციალური რევოლიუციის პლატფორმაა საერთაშორისო მაშტაბში აღებული. და ამ ჩვენმა აქტივიზმა, ჩვენმა გაგებამ საერთაშორისო ცხოვრების ჩვენ დაგვაშორა ჩვენს ძველს ამხანაგებს. ისინი რეფორმიზმის გზით მიდიან; მათი ოპორტუნიზმი მიუღებელია დღევანდელი პირობებისათვის.

ჩვენ დავშორდით არსებითად რევოლიუციონური პოლიტიკის ნიადაგზედ. ჩვენი პროგრამა, სოციალიზმ-ფედერალიზმის ძირითადი საფუძვლები ერთია, უცვლელია; მაგრამ ამ საფუძვლების ცხოვრებაში გამოყენება და ვითარებასთან შეწონვა სხვა და სხვა გვარი, საწინააღმდეგო.

ჩვენ ვრჩებით სოციალისტ-ფედერალიზმის ძირითად საფუძვლების ნიადაგზედ, ვიცავთ მის მეცნიერულს და ფილოსოფიურ სიღრმეს, მთელს მის შინაარსს, მაგრამ ამ დიად პრინციპებს ჩვენ ჩვენებურად უფარდებთ ცხოვრების ვითარებას, ახალი პოლიტიკის გზით მივდივართ.

ჩვენ ქართველი ერის მშობლიურს ნიადაგზედ ავეიზარდეთ, მისი სისხლი და ხორცი შევითვისეთ, მისი სული ჩავაიბერეთ; ჩვენი პარტიის მეცნიერული დებულებანი ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებით იკვებებიან, ჩვენი ახალი პოლიტიკაც, რომელმაც შესანიშნავად დაიჭირა გამოცდა რვა თვის მოღვაწეობით, ამავე მშობლიურ ნიადაგიდან არის წარმოშობილი და მისი სასიცოცხლო ინტერესებით საზრდოობს.

გაუმარჯოს ჩვენს ძველს მშობლიურს ნიადაგს და მისგან წარმოშობილს ახალს რევოლიუციონურს პოლიტიკას.

სიმ. ხუნდაძე.

## პარტიული ყრილობა

8 ნოემბერი.

### მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ი. ფანცხავა.

იხსნება დილის 11 ნახ. საათზე. მოხსენებას აკეთებს ამხ. ე. ჩხუბიანიშვილი პროფესიონალურ კავშირებზე. მომხსენებელი არკვევს ისტორიულ განვითარებას პროფესიონალურ კავშირების საზოგადოდ. ჩერდება რუსეთის წარმოებითი კავშირებზე, არკვევს მის სტრუქტურას და ბოლოს გადმოდის საქართველოს კავშირების განვითარებაზე და გამოსთქვამს აუცილებელ საჭიროებას ჩვენი პარტიის მიერ ფართო თანამშრომლობაზე საქართველოს პროფესიონალურ კავშირებში. მოხსენება შინაარსიანი და საქმიანი იყო. ოპონენტებათ გამოდიან ამხ—ბი. მ. გავაშელი და კ. ბაქრაძე. მომხსენებლის პასუხის შემდეგ ყრილობა სწყვეტს ამ საკითხზე რეზოლიუციის გამომუშავება მიანდოს სარეზოლიუციო კომისიას.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ამაღლობელი ახალგაზრდათა ორგანიზაციების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს ახალგაზრდობის მოძრაობას საზღვარ გარეთულ სახელმწიფოებში—ვრცლად ეხება რუსეთის ახალგაზრდობის აზროვნებას და მოქმედებას აღნიშნავს მთავარ მომენტებს მათ ცხოვრებაში და იმ ფუნქციას რომელსაც ის ასრულებდა რევოლიუციის განვითარების პროცესში ითვალისწინებს საქართველოს ახალგაზრდობის მოძრაობის სარბიელს მათ სპეციფიურ თვისებებს, მოქმედებას, პოლიტიკურს ორგანიზაციებში და ამტკიცებს ახალგაზრდათა ორგანიზაციის ავტონომიური მოქმედების აუცილებლობას.

სხდომა 4 საათზე შესწყდა.

### მეცხრე სხდომა

თავმ. ამხ. ი. ფანცხავა.

სხდ. 6 საათზე იწყება. მოხს. აკეთებს ამხ. პ. კანიშვილი პარტიის უახლოეს პრაქტიკულ მიზნებზე. მომხსენებელი აღნიშნავს პარტიის მიერ სხვა და სხვა კონკრეტიულ ნაბიჯების, გადადგმის საჭიროებაზე. ასახელებს სქემატიურად ყველა იმ საკითხებს, რომლის განხორციელების ცდას დღეიდანვე უნდა შეუდგეს ჩვენი პარტია. უდგენს ყრილობას პარტიის სახელწოდების პროექტს სიტყვა „მემარცხენეს“ მიმატების სახით მოხსენების გარშემო ფრიად საყურადღებო დისპუტი გაიმართა, რომელშიც ძონაწილეობდენ: კ. ბაქრაძე, თ. ღლონტი, ი. ახმეტიანი, გ. მუშიშვილი, კაბუკიანი, ს. ამაღლობელი, მ. კაკულია, მ. გავაშელი და სხვები.—შემდეგ ყრილობა ამტკიცებს რეზოლიუციებს, რომელიც ცალკე დაიბეჭდება.

დასასრულ ყრილობა ადგენს დღეიდან ჩვენს პარტიას ეწოდოს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა, სარევოლიუციო პარტია, ეს ყრილობა იქნეს აღიარებული როგორც დამფუძნებელი კრება ჩვენი პარტიისა.

ამხ. თ. ღლონტი აღნუსხავს პარტიის ახალი პერიოდის დასაწყისს, ითვალისწინებს იმ განუზომელი მუშაობს რომელიც წინ უძევს ჩვენ პარტიას, და მოუწოდებს ამხანაგებს მხნე და ენერგიით მუშაობისაკენ. მისასალმებელ სიტყვას ამბობს, ახალგაზრდობის სახელით, ამხ. ს. ამაღლობელი, რომელიც სავსე იყო მომენტის სრულ შეგრძნებით. ორატორი აღტყინებით ფიცს სდებს პარტიის წინაშე, რომ არც ერთი ახალგაზრდა არ დაიშურებს გასწიროს თავისი სულიერ-ფიზიკური ენერგია და პარტიის სამსხვერპლოზე ზვარაკად მიიტანოს თავის თავი,

დასასრულ ხდება არჩევნები მთავარი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა ფარული კენჭის ყრით,

მთავარ კომიტეტში არჩეულია შემდეგი პირები: ი. ფანცხავა, თ. ღლონტი, ს. ხუნდაძე, პ. კანიშვილი, ს. ამაღლობელი, ვ. პაატაშვილი, ჩხუბიანიშვილი, დ. მელაშვილი, ს. ასლანიშვილი.

სარევ. კომისიაში: კ. ბაქრაძე, მ. გავაშელი და ი. ჯიშკარიანი.

ღამის სრულ 1 საათზე პარტიულმა ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. დელეგატების ძმური სალმით დაიშალნენ.

სხდომების სრული ანგარიშებისა და რეზოლიუციის ბეჭდვას ამ დღეებში შეუდგებით.

## საგლეხეთიდგან

I. უცნობი ძმები.

ეს ჩვენი ქვეყანა ხომ ერთი პატარა ბოხჩასავით შეკრული რამეა.

ჩვენ ისე ცოტანი ვართ, რომ თითქმის ყველა ქართველი ერთი-ერთმანეთს უნდა იცნობდეს სახლით-მაინც.

მაღალი და მცირედი, უვიცი და განსწავლული ისე უნდა ჰგრძნობდენ თავს ერთი-ერთის წინაშე, თითქოს ყველა ერთი პატარა ოჯახიდან გამოსულიყვნენ, რომელთაც ჯერ არ დაჰკვ წყებიათ ერთ კერაზე ხელის გათბობა, ერთ სუფრაზე შემოწყრივებით პურის ჭამა, ერთად ლხინი და ერთად გლოვა.

თითქოს სიტყვა „შორეული,“ „უცნობლობა“ ქართველთა შორის არ უნდა არსებობდეს.

ქალაქი და სოფელი ისე უნდა ჩაჭიდებოდეს ჯაგრიანათ ერთი ერთმანეთს, რომ ერთის გულის ფანცქალი, ან აზრის გამოუთქმელი ჩუმი-ჩუმი მეორესათვის შეუმჩნევლად არ უნდა დარჩეს არც დღე, არც ღამე.

მაგრამ აბა გადაავლეთ თქვენი კეთილი თვალი, თუ მსგავსი რამე იხილოთ.

ქალაქსა და სოფელ შუა თითქოს ცხრა მთის სავალი გზა არისო.

ერთის ენა მეორესათვის ჩინურ მეტყველებათ დასახულა.

მე როცა ვახსენებ სიტყვა „ქალაქს“, ამით ვგულისხმობ მთელი დაწინაურებულ საზოგადოებას, კანონსა, ძალას მთავრობას, სულიერი ცხოვრების მთელ ჯარსა და სარდლობას.

და თუ ყველა ეს სიკეთენი მოქცეულია ქალაქის გალავანში, მაშ თქვენთვის აშკარა ხდება, თუ რას ვგულ სხმობ „სოფლის“ ხსენებით.

მე განგებ ვცდილობ, სოფელშივე დავსწერო სოფლის დავიდარაბაზე, მის სულის კვეთებაზე და—არა ქალაქში.

ქალაქში რომ მოდის კაცი, ჯერ, ერთი პირი არც კი დანაყრებულა და სულ სხვა სულის ქარიშხალი დაჰბერს ხოლმე მის ფიქრებსა და განცდათ.

მას თითქოს ალარა სჯერა, რომ ამოდენა ქალაქის გარეთ მთელი საქართველოს სოფლები საზღაპრო ჩამორჩენასა და დაუდევრობაში სხვთავენ სულს, მოკლებულნი კეთილად ხზრუნველ თვალს, მიტოვებული ღვთის ანაბარად.

აგრეთვე ემართება კაცს, შედგამს თუ არა სოფელში ფეხს; მას უკვე ეჩოთირება, რომ ამ ძივიწყებასა და სიბნელეთა შორის ანთია რაღაცა ჩირაღდანი ქალაქის სახით. ამ მოუქნელ და გაუწვრთნელ ტანს აბადია ისეთი გული და თავი, რომელიც ფიქრობს და ზრუნავს ყოველ მწვავ საკითხზე, რომელიც კი იკვეთება ცხოვრების შეუჩერებელ სამჭედლოში.

ამ წინააღმდეგობათა ბადეში გახვეული სულ ფიქრობ, ფიქრობ მცირედ საბაბზეც კი და ვერ დაგიჯერებია შენი თავი, რომ არსებობს სადმე დიადი ზრუნვა მსოფლიო რევოლიუციაზე, მოქმედობს ხალხის ბედ-იღბლით გულწრფელად დაინტერესებული მთავრობა, იწერება კანონები, განკარგულებანი, ბრძანებანი და ყველაფერი ეს რჩება სოფლიდან განზე, სულ განზე.

სწორედ მოგახსენოთ მე იმის ოდენადაც არა მქონდა გუნებაში ამ წერილების დაწერა.

მე მგონი ამისათვის დასაბუთებული მიზეზები მომეპოვებიან, მაგრამ, ვაი თუ ქართლურ სიზანტესაც დიდი ადგილი ჰქონდეს აქ დათმობილი!

მხოლოდ რა ვკითხულობ პატივცემულ ფ. მახარაძის წერილებს, ძალაუნებურად მეც გამელვიძა ეხზი მცირედი ხმის ამოსაღებად.

მართლაც ყველაზე მეტი ყურადღების ღირსნი ფ. მახარაძის წერილები არიან:

ჯერ ერთი იგი არის აღჭურვილი ყველაზე მეტი მოვალეობითა და თანამდებობით ჩვენს ქვეყანაში, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე—კანონიერად და მაშ ყოველ მის სიტყვას დიდი მნიშვნელობაცა აქვს.

მერეა და მისი წერილები მშრალი ნაბაზრევი კი არ არის მწიგნობრულის ახირებითა და უსისხლ ხორცოდ დაწერილი, არამედ მასში ღაღადებს ნამდვილი გულწრფელი ცდა, რომ ჩვენი ხალხის, ტკივილებს ფხიზლად მიაპყრას ყური. ჩვენი ქვეყნის ყოველ ბნელ კუნჭულს გადაავლოს თვალი. გასცდეს ქალაქის საზღვრებს და მოისმინოს მათი ხმაც, ვინც უკუღმართობით დამუნჯებულა, მაგრამ ვისაც მრავლად მრავალი მოეპოვება სათქმელი.

და განა თუ სათქმელი, არამედ—საყვირელიც კი.

იმ წერილებიდან აშკარად სჩანს, რომ პატივცემული მახარაძე არ იზარებს, მიდის მივიწყებულ კუთხეებში რომ ალაგობრივ გამოიძიოს მთავრობის მოხელეთა წესიერი ქცევა. და თუ მიაგნებს ულირსებს, ღირსეულადაცა სჯის.

მას უკვე სწორედ აულია ალღო, რომ ყველაზე მუხანათური სარმის გამომღები ყოველი მთავრობისათვის. ეს მისივე ძაჩაჩალა მოხელენი არიან, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ხალხთანა.

ფრიად საამურია აგრეთვე, რომ ფ. მახარაძე ისეთის გულდადებით ისმენს ვისგანაც უნდა იყვეს, ყოველ მიწაწერსა და ნათქვამს სოფლის მდგომარეობაზე, მიწის საკითხზე და სხვა.

იგი ცოცხლად იყენებს ამ მასალას, რომ შემდეგში თავის შეგნებითა და უნარებით უკან დაუბრუნოს ხალხს საკეთილდღეოდ მისა.

მხოლოდ აშკარადა სჩანს—რამდენადაც ღრმადა სწყურია ფ. მახარაძეს ბეჯითად გადაიკითხოს ცოცხალი წიგნი ხალხისა და ცხოვრებისა, იმდენად მცირედნი არიან დამწერნი მისი.

ყველა გაზეთი ვერა მხვდება ხელში, მაგრამ რამდენიც კი აღწევს ჩემამდის იქიდან ვხედავ ერთად ერთს:

ფ. მახარაძის ასეთ წინდახედულ ცდას მხოლოდ გურიიდან და იმერეთიდან თუ აძლევენ კენტ-კენტად პასუხს. ქართლ-კახეთიდან კი, თქვენც არ მომიკვდეთ, ჩამი ჩუმი არ ისმის.

ამიტომ ეს ჩემი წერილები ჩაითვლებიან ერთგვარ გამოხმაურებად ამ სიჩუმიდგან.

II სოფლის „მეპირნახულენი“.

სიმართლე ძნელი მოსასმენია, როცა იგი არაფერ საამურს არ მისთავაზებს ჩვენს ყურებს.

მაგრამ, ვაი იმას ვინც დროზედ არ მოისმენს სიმართლის კარნახს და საკადრის თადარიგსაც არ დაიჭერს.

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ერთბაშად აგებს პასუხს და უფრო სასტიკადაც, ვიდრე ეკუთვნის მას თავისი დაუდევრობისათვის.

მე არა მგონია დღევანდელ ხელისუფალთ ეშინოდეთ სიმართლის ხმისა. ამისი თავდებია ის გულ წრფელი კილო, რომელიც გადავლებულია თავიდან ბოლომდის ფ. მახარაძის წერილებში. აგრეთვე ის წერილებიც, რომელნიც ეხებიან „პარტიის გაწმენდას“.

მაშ ვსთქვათ.

ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტები ბევრით უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ეკადრება მათ ჩვეულებრივ ღირსებას,

სწორედ ამ ორი წლის წინედ მოხდა ერთდროული მაგრამ უწესრიგო აჯანყებანი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ეს აჯანყებანი არ ატარებდენ მკაფიო პოლიტიკურ მიზანს მაგრამ იგინი მაინც ხდებოდენ ბოლშევიკობის სახელით და და მიმართული იყო მაშინდელი მთავრობის წინააღმდეგ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველა აჯანყებანი დაუნდობლად იქნენ სულჩახუთულნი მაშინდელ ხელის-უფალთაგან.

დამარცხებული, დევნილი და უბედ აღიებული იქნა მთელი გლეხობა, რად-

გან იგი გულახდილად თანამშრომლობდა ამ ბუნებას.

ამის შესახებ მეც მომ ხდა მოსმენილი წერილების დაწერა სახელდობრ „ულალმართლობა". ამ წერილებში სხვა მრავალ და მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად, დიდ დანაშაულს ვაკისრებდი ადგილობრივ მოხელეთა ულირსობას.

ხოლო უნდა გავიმეორებთ ცოდვა და ვაღიაროთ, რომ ადგილობრივი წარმომადგენლნი მთავრობის უმეტეს ნაწილად სახელის შემლახველნი არიან იმავე მთავრობისა.

შეიძლება დანაშაულს იმდენს არ სჩადიოდენ, რამდენსაც უწინდელი მოხელენი, მაგრამ სამსახურს სამაგიეროდ უფრო ნაკლებს აკეთებენ.

ხალხის ყოველდღიურ პროგრამს მთავრობა უნდა იცნობდეს ამ მოხელეთა წყალობით, ხალხს პირდაპირ და მუდმივად მხოლოდ იგინი მისჩერებიან და მთავრობასაც იგინი უნდა გადაუშლიდნენ თვალწინ ხალხისავე ავ-კარგს.

„კომუნისტის" ყოველ ნომერში ვკითხულობ განცხადებას პროვინციაში მომუშავე ამხანაგებისადმი.

ეს განცხადება კი არა პირდაპირი მუდარაა: „მოგვაწოდეთ, რაც შეიძლება ვრცელი, დასაბუთებული და ხწორი ცნობანი პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადო ცხოვრებიდან".

მაგრამ ამის შესრულებას უნდა სწორი შეგნება ძოვალეობისა და სურვილის.

მერე სურვილიც არა კმარა. ამას ესაჭიროება ცოდნა და ნიჭიც.

მერე რამდენს გნებავთ მოსთხოვოთ ეს აუცილებელი ლაპარაკი, რომ იმათ პირნათლად გაცნონ მთავრობას ხალხის მდგომარეობა და გულის ზრახვანი?

ესეთი პირები თითქმის არ მოიძებნებიან, ამავე დროს კი მთავრობას უსათუოდ ესაჭიროება იცოდეს მთელი ვითარება ქვეყნისა.

მე არ ვიცი, შეიძლება ადგილობრივ მუშაკნი იდუმალათ გზავნიდნენ მთავრობაში რაიმე ვრცელ მოხსენებით.

სხვაფრივ კი რა მოგახსენოთ!

მართალია ყოველგვარ თანამდებობის გარეშე გახლავართ და შეიძლება ბევრი რამ შინ ყრუდ ჩემ თვალს ეფარებოდეს, მაგრამ როგორც მწერალი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსული კაცი, ვცდილობ ყოველგვარი მოვლენა ბეჯითად შევისწავლო და გავიცნო, მაგრამ ადგილობრივ მოხელეთაგან ასე მუყაითად შესრულებული თავიანთი მოვალეობა ჯერ არაფერში არ შემიმჩნევია გამოაშკარავებით.

მე დარწმუნებული ვარ, მთავრობა რომ უფრო სწორად და ვრცლად იცნობდეს სოფლის მდგომარეობას, მაშინ უფრო სხვა ხასიათის განკარგულებანი იქნებოდენ გამოცემულნი და წესებიც ცოტა სხვანაირი იქნებოდენ გამოძებნილი სოფელში სამუშაოდ.

მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენგან თვალისწინებულ მოხელეებს.

როგორც მე გახსენეთ მთავრობა უნდა ისმენდეს და ჰხედავდეს ხალხის ცხოვრებას ამ მოხელეთა შემწეობით. იგინი კი ყრუნი არიან და უსინათლონი. ყოველ შემთხვევაში, იქნება არც ერთი იყვნენ, არც—მეორე, მაგრამ მუნჯნი კი აუცილებლად არიან.

იმათგან კაცი ვერ ეღირსება რაიმე დაკვირვებას ხალხის მდგომარეობის გასაცნობად. არ ეტყობათ სიხალისე და სიფხიზლე ცოცხალი მუშაობისა. იმათგან ჩანს ლია არის ყოველივე დვთიური სიტყვა შემოქმედებისა და ჩვენ ხანდ ხალხში როგორღა უნდა განადგინოს ეხხი შემოქმედებითი მუშაობისა?

ხალხმა მხოლოდ ცარიელი სახელი იცის სათავეში ვინცა სხდება. მთავრობის ავსა და კარგს კი ჰხომავს მხოლოდ იმათის სახით, ვინც პირისპირ სდგას მასთან, ეს არის საუკეთესო ადლი, უტყუარი სასწორი მთელი ხალხისთვის.

საქართველში გადატრიალების პირველ ხანაში პროვინციის მუშაკნი და თანამდებობის პირნი დიდის ხალისით ნიდიოდენ ხალხთან და თავს აწონებდენ ხოლოდ იმით—თუ რაც შეიძლება დიდი ლოდი ესროლათ ზურგში სამარცხვინოთ გაქცეულ მენშევიკებისთვის.

შემდეგ კი როცა ამითი გული იჯერეს, უცნაურად შემოელიათ სალაპარაკო მასალა ხალხთან და ფეხებზედ ინაც დაიდეს.

მე ლაპარაკს კი არა ვჩივი.

ღვთის წინაშე ხალხსაც მობეზრდა ერთიანად ყველა რჯულის ქადაგება.

აქ საჭიროა სულ სხვა:

მუშაობა და წახალისება მთელის ხალხისა თვითშემოქმედებისაკენ.

რუსეთის ძვგლითით საბჭოთა წყობილებას ყველაზედ საზარიელო თვისება ის არის, რომ იგი სასტიკ მიჯაღლუგუნებსა სცემს ხალხს ყოველ დარგ-

ში თვით შემოქმედების გასაღვიძებლათ.

ჩვენ ხალხს კი ყველაზედ მეტ ღვთაება ეს მოჯალაგუნები. მაგრამ ამისი გამომღვიძებელნი კი თვითონ არიან გამოსაფხიზლებელნი.

ეხლა სოფელში რომ დაინახავენ რევკომის წევრს ან სხვა მოხელეს, ეს იმას ჰნიშნავს, რომ უნდა მოსთხოვონ ან ცხენები, ან—შეგარა, ან გამოუცხადონ რამე ახალი გადასახადი.

მათგან სხვა არაფერი სიკეთეს არ ელიან.

განა მუშათა და გლეხთა მთავრობას ასეთი გაუქნელი პირები მოუპოვებენ სიყვარულს ხალხში?

მათ უმეტეს ნაწილად უბრალო ანაბანაც კი არ იციან საბჭოთა წყობილების დანიშნულებისა და სხვას რაღას შეასწავლიან!

მაგრამ არ გეგონოთ, რომ სულ გულხელ დაკრეფილნი ისხდენ ეს ადამიანები.

მათ გაუგიათ, რომ საბჭოთა წყობილება სასტიკად ებრძვის კონტრ-რევოლუციას და იმათაც ყოველ-ნაბიჯზედ სულ კონტრ-რევოლუციონერები ეფეთებიან.

ამ მოსაზრებით, თუ ადამიანს ცოტა განათლებაში ფეხი უდგია, მაგრამ ისე იეფათ და გამორჩენის თვალსაზრისით ხელ და ხელ არ დაირქვა კომუნისტობის სახელი, ისინი სულ ალმაცერად უცქერიან და მოსვენების საათს არ აძლევენ.

იმის სანაცვლოდ, რომ მათი ცოდნა, მიუდგომელი აზრი და წყურვილი ქვეყნის წადმართიანად მოწყობაში გამოიყენონ სხვა და სხვა საქმეში, რომელიც ასე სჭირდება ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს, იგინი მათ დევნა და შევიწროებას უნდებიან მხოლოდ.

აი უბრალო მაგალითი. მთელი გორის რაიონში აქნობამდის ადვირ-ახსნილად თარეშობდა ვინმე ბ. კიკნაძე

იგი ბრძანდებოდა პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარედ.

თუ რაიონში ცოტა განათლებული კაცი მოიპოვებოდა, იმის ვერავნულ დევნასა და შეურაცხყოფას ვერ ასცილდებია.

ყველა საზოგადო დაწესებულებანი და თვით მთავრობის წევრებიც კარგად იცნობენ გორის „კავშირის" მოღვაწეობას და იქაურ მუშაკთა პიროვნებას.

მხოლოდ კიკნაძე არა კმაყოფილდება თავის უფროსების ცნობით, იგი ყველას კონტრ-რევოლიუციონერ ემბაზში ჰნათლავდა და კაი დღეც არ დააყარა!

სამ ხელობაზე, ხან ნაწილობრივ და ხან მთელი შემადგენლობა „კავშირისა", მოხელეებიდან გამგეობის წევრებამდის ჯერ გამოამწყვდევდა წამილწულ სადორეში და მეორე დღეს აგზავნიდა გორში.

ეს სადორე მეორე ხელობაზე ჩვენ თვითონვე მივასუფთავე-მოვასუფთავეთ:

— ჩვენთვისავე სასარგებლოა, რადგან სულ ერთია, სანამ კიკნაძე იქნება აქ ბატონათ, ჩვენ ამ სადორეში ღამის თევა არ აგვცილდებათ ვამბობდით.

აგრედვე ექცეოდა სხვებსაც, ვისაც არაფერი კავშირი არა ჰქონდა „კავშირთან", მაგრამ ყველას აბამდა ერთმანეთზე კონტრ-რევოლიუციონერობის რგოლით.

გორში ჩარევისთანავე ყველა ამ „სახიფათო" პირებს ან პირველ, ან მეორე დღესვე ანთავისუფლებდენ.

მხოლოდ ვერ გაგვეგო, რას ეუბნეოდა გორის პოლიტიკური განყოფილება ბ. კიკნაძეს, ასეთ უდანაშაულო პირებს რომ უგზავნიდა წამსა და უწამოს.

მოდი ახლა ასეთი „ძლიერი" პიროვნების წინაშე დგ ადამარი საჩივარი. ერთიც ვნახოთ არ გასჭრა შენმა დიდმა სიმართლემ იმის დიდ სიყალბესთან და ისევ დასტოვეს თავის ადგილას, მაშინ ხომ სანანებელი უნდა გაუხდეს წუთისოფელი კაცს იმის ხელში!

წარმოიდგინეთ არავის არ ეძინა მშვიდათ იმის ხელში, ყველა ელოდა, ჰაი დღეს, ჰაი ხვალ მეც გამბაწრამენ ისევე უმიზეზოთ, როგორც სხვებსო.

ასე ინავარდა ექვსი-შვიდი თვე ამ ვიც-ბატონმა და მხოლოდ ეს ორი დღეა, რაც პარტიიდან დაითხოვეს.

როგორ? ექვსი თვე იყო საჭირო, რომ ჩაედინა ამდენი სირეგვნე, უწესობა, მიეყენებინა შეურაცხყოფა უსაზრო ხალხისათვის, სამარცხვინოდ ექეიფა ზურნა დალაბანდით გარდი-გარდმო, რომ ბოლოს, ბოლოს პარტიიდან დაეთხოვათ?

ეს არის მთელი პასუხისგება ასეთი ულირსი ადამიანისა?

რასაკვირველია ამ საპატიო პიროვნებას თავის ჭკუის დამქაშებიცა ჰყავდენ.

მოდი და ასეთი ადამიანების წყალობით პატივისცემა და სიყვარული აღძარი ხალხში დღევანდელი წყობილებისადმი.

გლეხი კაცი ამას რომ უცქერის, ის მოკლეთა და უდავიდარაბოთ სჭრის:

— ე სახელი კი ჩემი ჰქვიან ამ დროებასა, მაგრამ სახრავი კი ისევ წუწკი ხალხისა არისო.

ამნაირი „კიკნაძეები" რამდენიმე გოჯით ნაკლები თუ მეტი თითქმის ყველგან მოიძებნებიან, მაგალითებიც მრავალია, მაგრამ იმათი დევნა უკვე შორს წაგვიყვანს.

მთავრობის დასაჯერებლად მხოლოდ ის შეიძლება კმარა, რომ სოფლად აქნობამდის ჯერ არაფერი არ გაკეთებულა. ეს გასაკეთებელი კი მრავალია, რაც ამ პატარა მოხელეთა ზომას შეეფერება, მაგრამ მათი უმარიფათობისა გამო, ყველაფერი მცირედიც კი მდევის ტვირთად მოეჩვენებათ.

დავ. მეტრეველი.

## ახალი ამბები

— **სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიაში** სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე საქართველოს პროფკავშირის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად იქნა მოსმენილი მთავარი პოლიტიკურ განათლების თავმჯდომარის, ამხ. ხაჭაპურიძის მოხსენება პოლიტიკურ-განათლების მოქმედების შესახებ. მოიწონა რა მოქმედება უკანასკნელისა, სხდომამ დაადგინა: 1) ჩაითვალოს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია პოლიტიკურ განათლების დამკვიდრებლ მიზნათ და მიექცეს ამ მუშაობას მთავარი ყურადღება. მთავარი პოლიტიკური განათლების განყოფილების მიერ გაცემული სახსრიდან 50 პროც. უნდა გადაიცეს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციოთ. 2) შემდეგ დამკვიდრებლ მიზნათ უნდა ჩაითვალოს კლუბის მუშაობა, ეს „აუცილებლათ უნდა აწარმოვონ იმ საბუთებით, რომელიც იქნება გადადებული ამ საქმისათვის სახალხო განათლების კომისარიატის მიერ. ახლო მომავალში გამოანგარიშებულ იქნება ნამდვილი ჯამი. 3) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროვინციის მუშაობას, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს პროვინციებში ინსტრუქტორების გაგზავნა. აგრეთვე პროვინციებს რეგულიარულად უნდა ათვალიერებდეს მთავარი პოლიტიკურ განათლების კოლეგიის წევრები, 4) საგიტაციო მუშაობა უნდა წარმოებდეს აგიტკამპანიის მოწყობის სახით სხვა და სხვა საკითხის შესახებ 5) გამოცხადდეს თეატრების რეპერტუარი. შემცირდეს დასის რიცხვი მათი ღირსების გაუმჯობესებით. 6) ყველა წიგნთსაცავები აღრიცხულ იქნეს აღრიცხვაზე, გამოირკვეს წიგნების შემადგენლობა. გაძლიერდეს წიგნთსაცავი კომუნისტური ლიტერატურით. იქნეს გამოტანილი წიგნთსაცავიდან ყველა ის წიგნები, რომლებიც არ შეეფერება თანამედროვე მომენტს, 7) მიექცეს ყურადღება კლუბის გარეგნულ სახეს, აგრეთვე წიგნთსაცავს, აგიტპუნქტებს და სხვას იქნეს გამოკიდებული იქ პროლეტარიატულ მოღვაწეთა სურათები და ბიუსტები; 8) შემოღებულ იქნეს სახალხო განათლების კომისარიატის ფულით მომარაგების ერთნაირი ფორმა, 9) „13 დეკემბერს მოწვეულ იქნეს სახალხო განათლების განყოფილებების ყრილობა ერთოვლის საქართველოს პროკავშირის საბჭოს კულტურულ განყოფილებების კონფერენცია 10 დეკემბრისთვის.

**ლექცია რუსთაველზე.** შაბათს 5 ს და კვირას 6 ნოემბერს (პუშკინის სამკითხველოში სამე კიცინო საზოგადოების ზალაში) გაიმართება ორი დისპუტი 3. ლ. ნადარაიას და „ლექტორი 3. უშაკოვის მონაწილეობით. პირველი დისპუტი: 1) ლეგენდა რუსთაველის ცხოვრების და ისტორიული სინამდვილე. 2) სიყვარული და ქალური ტიპი პოემის. მეორე დისპუტი: „რუსთაველზე და თამარმეფეზე".

## რუსეთი

**მახკოვი** ოქტ. დონის ოლქის 512 სამრეწველო წარმოებიდან იჯარით გაცემულია 156. ნიჟნი-ნოვგოროდში. სახელმწიფო ხარჯზე მიწოდების მხრივ დატოვებულია 11 ლითონის დასამუშავებელი მრეწველობითი წარმოება 41.380 მუშით. დანარჩენი შინამრეწველობის ხასიათის წარმოებანი ზოგი იხურება და ზოგი იცემა იჯარით—პეტროგრადი სახალხო სამეურნეო საბჭომ გასცა იჯარით 6 წლის ვადით სახელმწიფო სიგრიდის ქარხანა ხელშეკრულების თანახმად ქარხანამ უნდა დაამუშაოს პირველი წლის განმავლობაში 2.500 კილოგრამი, მე-6 წლის განმავლობაში კი 14.000 კილოგრამი. საიჯარო გადასახადი განსაზღვრულია წარმოების 10 პროც. სახელმწიფო შაქარის ქარხანა გაცემულია იჯარით იმ პირობით, რომ პირველ წელს გამოიმუშაოს 500 კილოგრამი, შემდეგ წლებში ნორმა უნდა იქნეს გადიდებული 250 კილოგრამით. იჯარის გადასახადი წარმოების 10 პროც. სახელმწიფო ფეხსაცმლის ქარხანა გაცემულია იჯარით 6 წლით უნდა დაამუშაოს პირველ წელში 20.000 წყვილი ფეხსაცმელი, მეორე წლის განმავლობაში 30 000 და შემდეგ წლებში 40.000 ფეხსაცმელი.

**მოსკოვი** 4 ნოემბერი. ამხ. სტეკლოვი თავის მოწინავე სტატიაში სწერს, შესახებ იმ დეკლარაციისა, რომელიც გამოუშვა საბჭოთა მთავრობამ სესხის გადახდაზე. „პირველი გამოხმაურება პოლიტიკოსებისა ისეთი თითქო არ იყვნენ ნასიამოვნები ამ ნოტით, წინააღმდეგ თითქო ისენი შეურაცხყოფილნიც არიან, ვინაიდან ის ემუქრება მათი პოზიციის დამარცხებას და მათ გამოაშკარავებას საზოგადო აზრის წინაშე. გარკვეულ უარყოფით შეხედა ნოტას საფრანგეთმს ბურჟუაზიის პრესა ასეთი დაიოკიდებულება ერთხელ კიდევ ზედმეტად გვიმტკიცებს, რომ ფრანგულმ „მონკი" უარს არა ყოფს თავის ინტერვენციის გეგმას და საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების და მონარქიის აღდგენის იმედს. რაც უპარიზელ მტაცებლებს უფრო იმედით და გამოადგებათ საბჭოთა ნოტასადმი მტრული განწყობილება, გვიჩვენებს, რომ ფრანგულ კაპიტალს სურს ეკონომიურ დამონება რუსეთის და მისი გადაქცევა ვასალათ რომელიც სრულიად დამოკიდებული უნდა იქნას პარიზის ბირჟიდან და მისი ბრძანების სიტყვით აღსრულებელი. რამდენად საბჭოთა მთავრობა დაუძლევლ წინააღმდეგობას ამ ოცნების განსახორციელებლად. ფრანგ იმპერიალისტები წინააღმდეგ ცნობილი იგავ-არაკის ეკეთებენ სრულს სახეს კარგი თამაშის დროს,

## უცხოეთი

**პარიზი** ნოემბრის 3 პარიზელი პრესა აღნიშნავს რომ სირიაში შესაჩნევად იკლო საფრანგეთისადმი სიმპატიამ სეპარატიული ზავისა და შეთანხმებისა გამო საფრანგეთსა და ანგორას შორის.

**ბორდო** ნოემბრის 3 ლონდონში გაიხსნა კონფერენცია ირლანდიის საქმეებისა გამო. დაიწყო თათბირი საზავო შეთანხმების შესახებ ინგლისსა და ირლანდიის შორის. გაზეთი „ტაიმსი" აღნიშნავს რომ ინგლისისა და ირლანდიის წარმომადგენლნი უიმედონი არიან შეთანხმებაზე.

— ლოიდ ჯორჯმა ირლანდიის კონფერენციის გამო გადასდო თავის გამგზავრება ვაშინგტონში.

**ნაუენი** ნოემბრის 3 ხმებია, რომ კარლოს და ზიტა ჰაბსბურგებს ნება დართეს დასახლდენ ლუქსემბურგში.

**ლონდონი.** „ტაიმსი" სწერს: ბრიუსელის საერთაშორისო კონფერენცია რუსეთის დასახმარებლად შემდგარი დასრულდა და გამოიტანა მთელი წყება მნიშვნელოვანი დადგენილებანი. კონფერენციას დაესწრო 19 ქვეყნის წარმომადგენელი. საერთოთ კონფერენცია განწყობილი იყო საერთაშორისო სოლიდარული გრძნობით და იმ აზრით, რომ საჭიროა რუსეთისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენა.

**რომი.** 1 ნოემბერი. ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების შესახებ ცნობები მართლდება. ამ შეთანხმების ძალით ბრიტანეთის ჯარებმა უნდა გასწმინდონ ეგვიპტე, გარდა პორტ-საიდისა და სუეცის არხის აღმოსავლეთ ზონისა. ეგვიპტეს ეძლევა უფლება ... წარმომადგენლობა საზღვარგარეთ. ალექსანდრია, შეთანხმების ... ბრიტანეთის ... სუდანი რჩება საშუალო მდგომარეობაში.

**პარიზი** ნოემბრის 3 პარიზელი გაზეთი „ვიქტუარი" იუწყება რომ რუსეთის დახმარება მიენდობა იმ პირთ, რომელიც სარგებლობენ ამერიკისა და ევროპის დემოკრატიული წრეების ნდობითო.

**ბორდო** ნოემბრის 3 ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ პოლიტიკური და ეკონომიური განწყობილების აღდგენა რუსეთსა და ამერიკის შორის შესაძლებელია მხოლოდ ყოველგვარი ბოლშევიკური პროპაგანდის შეწყვეტით საზღვარგარეთო.

**მოსკოვი.** 3 ნოემ. მთელ ინდოეთში ვითარდება რევოლიუციონური მოძრაობა იმ მიზეზით, რომელიც მდგომარეობს მუსულმანთა სარევოლიუციო მოძრაობის ბელადების შვიდი წლის კატორგის მისჯაში, ყველგან ეწყობა მიტინგები და გამოაქვთ რეზოლიუციები ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. მადრასში ხდება მუშებისა და პოლიციის შეტაკება მუშები ისვრიან ყუმბარებს. არის დაჭრილ-დახოცილები. ბენგალიაში 30,000 მოსწავლე გაფიცულია ინგლისის სკოლებსა და უნივერსიტეტში „ნოიკოტი" საზღვარგარეთულ ბარგებისა გრძელდება.

## მიშა კოპალეიშვილის ხსოვნას

დღეს სრულდება ორმოცი დღე, რაც ულმობელმა სენმა გამოასალმა წუთისოფელს ახალგაზრდა სტუდენტი მიშა კოპალეიშვილი. ორმოცი დღე გავიდა რაც მუდამ მხიარული ამხანაგებისათვის საყვარელი, სიცოცხლის მოყვარული მიშა სამუდამოდ მოშორდა ამ ქვეყანას. გიმნაზიის კედლებში მიშა იყო ყველასათვის საყვარელი ამხანაგი, უნივერსიტეტში ქონდა დამსახურებული ყველას სიმპატია თავისი კეთილი ბუნების და მხიარული ხასიათის წყალობით. მაგრამ მას არ დასცალდა უნივერსიტეტში დიდ ხანს ყოფნა. ულმობელმა სენმა ადრე გაიკეთა ბინა მის სუსტ სხეულში და უდროოდ მოუღო მას ბოლო. 22 წლის მიშა უკვე ცივი მიწას აბარია და ვინ იცის რამდენი სიყვარული და განუხორციელებელი კეთილი ზრახვანი თან ჩაყვა მიწაში. ხანმოკლე იყო მისი ამ ქვეყნად ცხოვრება, მაგრამ სადაც კი შეეძლო ყოველიეში ცდილობდა შეეტანა თავისი წვლილი და უანგარო სიყვარული. მის ბედი ადრევე გადაეწყვიტა განგებას, მიშამ ვერ შესძლო გამკლავებოდა ადამიანთა საშინელ მტერს— ჭლექს. უკანასკნელად ვნახე მანგლისიდან დაბრუნებული ცოტათი გამოკეთებული და დაიმედებული.

საუბედუროდ ეს ყოფილა უკანასკნელი შეხვედრა.. განისვენე ტკბილად, კეთილო ადამიანო, სამარეში შეგობარ კოლიასთან ერთად დიცოდეთ, რომ თქვენი სახე და მოგონება სამუდამო იქნება იმ ამხანაგებში, რომლებთანაც გაგიტარებიათ ყრმობის საუკეთესო დღენი

გ. როგავა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის" რედაქციაში.

## საქართველოს ფ-ტ. კომისარიატი აცხადებს

რომ 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში (ტფილისის ქუჩა) ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ქუთაის-ონსა-ქუთაის-ხონის შორის და ქუთაისის ფ-ტ. კანტორიდან სადგურამდე და უკან ფოსტების გადაზიდვის იჯარით გასაცემად. უკანასკნელ პუნქტებ შორის ფოსტის გადაზიდვის ამღებს დაევალება აგრეთვე ქალაქში საფოსტო ყუთების გაწმენდა.

ხონისა და ონის მიმართულებით გაიგზავნება (უკან დაბრუნებით) ფოსტა კვირაში ორჯერ, მხოლოდ ქუთაის სადგურ შორის იქნება გადაზიდული ყოველ დღე.

ამღებთ შეუძლია ფოსტა გადაზიდოს როგორც ცხენებით ისე ავტომობილებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გირაოს წარმოდგენა ფულად ან უძრავი ქონების საბუთებით. განცხადება იჯარის აღების შესახებ მიიღება ფ-ტ. კომისარიატში, და აგრეთვე ქუთაისის, ხონის, ონის, ცაგერის, ალპანის, მექვენის, ლაილაშის, ჭრებალოს და ცესის. ფ. ტ დაწესებულებებში.

ფ. ტ. სახკომისრის მოად. მაგ წერეთელი.
განყოფ. გამგე ცაგარეიშვილი.